ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის საქმიანობის ანგარიშის ფორმა:

1. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი
2. **წევრის სახელი, გვარი:** ხვიჩა ცხვიტარია
3. **საკრებულოში დაკავებული თანამდებობა:** იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე.
4. **ფრაქციის წევრობა:** ქართული ოცნება.
5. **კომისიის (კომისიების) წევრობა:** სოციალურ საკითხთა კომისია.
6. **არჩევის წესი:** ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს სიით.
7. **საანგარიშო პერიოდი:** 2019 წლის 01 მაისიდან 2019 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით.

განხორციელებული საქმიანობები:

1. საკრებულოს სხდომების რაოდენობა, რომლებშიც მონაწილეობდა ანგარიშის წარმდგენი:

- 11 (თერთმეტი) სხდომა

---

2. საკრებულოს ამ სხდომებზე განხილული საკითხების რაოდენობა:

- 60 (სამოცი) საკითხი.

3. საკრებულოს კომისიების სხდომების რაოდენობა, რომელშიც მონაწილეობდა ანგარიშის წარმდგენი:

- 8 (რვა)-იურიდიულ საკითხთა კომისია,
- 9 (ცხრა)-სოციალურ საკითხთა კომისია.

4. საკრებულოს ამ კომისიების ამ სხდომებზე განხილული საკითხების რაოდენობა:

- 12 (თორმეტი)- იურიდიულ საკითხთა კომისია,
- 18 (თვრამეტი)-სოციალურ საკითხთა კომისია.

---

5. საკრებულოში ინიცირებული საკითხების დასახელება:

---

6. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა:

- 12 (თორმეტი) შეხვედრა.

---

7. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოკვეთილი ძირითადი საკითხები:

- ქალაქში ძალიან დიდ პრობლემას წარმოადგენს საზღვაო ნავსადგურიდან გამოსული ტვირთების, კონტეინერების გადამუშავება, რის შედეგადაც ზიანდება როგორც გზები, ასევე საცხოვრებელი სახლები.
- აღნიშნულ პერიოდში სოციალური და ინფრასტრუქტურული საკითხების გარდა თავი იჩინა ეკოლოგიურმა პრობლემებმა, კერძოდ მეტალურგიული ქარხნის მუშაობისა და სპილენძის ოქსიდის გადამუშავების შედეგად წარმოშობილი მტვერი, რასაც მოჰყვა საავტომობილო გზების არაერთჯერადი გადაკეტვა მოქალაქეების მხრიდან ნაბადის უბანში. განსაკუთრებულ პროტესტს გამოხატავს ზემოთმოხსენებული საწარმოების ირგვლივ დასახლებული ხალხი (ოცდაათი ოჯახი). ასევე მოსახლეობას აწუხებს თევზის სუნი, ქაფშიის რეწვის დროს.
- მრავალბინიანი სახლების გადახურვა და წყალსაწრიტი მილების მონტაჟი და რეაბილიტაცია.
- ქალაქში კატასტროფულ ზღვარს მიაღწია მაწანწალა ძაღლების რაოდენობამ, ძალიან ბევრია დაკბენილი ხალხის ოდენობა, ასევე აღნიშნული ცხოველები საშიშია სხვადასხვა ინფექციების გავრცელების კუთხით.

8. სხვა განხორციელებული საქმიანობები:

- ქალაქ ფოთის მაჟორიტარი დეპუტატისა და ფრაქცია „ქართული ოცნების“ რეკომენდაციით მუნიციპალიტეტში დასაქმდა ოთხი მოქალაქე.

შედეგი, ფაქტი:

მიმდინარეობს აქტიური მუშაობა მოსახლეობასთან ერთად ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით.

შემდეგი საანგარიშო პერიოდის ძირითადი პრიორიტეტები:

- ქალაქის ტერიტორიაზე საზღვაო ნავსადგურის მიერ ტვირთების, კონტეინერების გადამუშავების შედეგად ზიანდება საგზაო ინფრასტრუქტურა და ამის გამო მოსახლეობა გამოხატავს პროტესტს, აქედან გამომდინარე, მიმაჩნია მიზანშეწონილად დაწესდეს საკონტეინერო მოსაკრებელი- არაუმეტეს 10(ათი)ლარი ერთ კონტეინერზე, რომელიც მთლიანად ჩაირიცხება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში და მოხმარდება გზებისა და სანიაღვრე არხების მოწყობასა და რეაბილიტაციას.
- ეკოლოგიური და სოციალური პრობლემების აღმოფხვრა.
- ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება მოქალაქეების აზრის გათვალისწინებით.
- მოსახლეობის დასაქმება როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორში.